

ლუიზე ლიმბერგი  
მიკაელ ალექსანდერსონი

**სასკოლო ბიბლიოთეკა  
როგორც სასწავლო სივრცე**

თბილისი 2021

ინგლისურიდან თარგმნა  
**გიორგი კილაძემ**

რედაქტორები  
**ლაშა გველესიანი**  
**მარიამ ხოფერიანი**

ტექნიკური უზრუნველყოფა  
**შალვა პაპალაშვილი**

Limberg, Louise, & Alexandersson, Mikael. (2003). The School library as a space for learning. *School libraries Worldwide*, 9(1), 1-15. Retrieved from: [https://www.researchgate.net/publication/267421306\\_The\\_School\\_Library\\_as\\_a\\_Space\\_for\\_Learning](https://www.researchgate.net/publication/267421306_The_School_Library_as_a_Space_for_Learning)



© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021

ISBN 978-9941-9750-4-2

## სარჩევი

შესავალი და მიზანი	8
Introduction and Purpose	9
სასკოლო ბიბლიოთეკების სივრცითი თავისებურებანი	12
Special Characteristics of School Libraries	13
დამატებითი თეორიული პერსპექტივები	16
Complementary Theoretical Perspectives	17
შედეგები	28
Findings	29
განხილვა და დასკვნები	50
Discussion and Conclusions	51

## წინათქმა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სხვა საჯარო დაწესებულებებთან ერთად წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტს, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საგანმანათლებლო სფეროს საქმიანობაში მონაწილეობა. ეროვნული ბიბლიოთეკების შესახებ კანონში, ბიბლიოთეკის სხვა ფუნქციებთან ერთად მოყვანილია ბიბლიოთეკის, როგორც ბიბლიოთეკების მეთოდური საქმიანობის და კულტურის ცენტრის ფუნქციაც.

ჩვენს სინამდვილეში, არსებობს გარკვეული სახის ურთიერთობები ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სასკოლო ბიბლიოთეკებს შორის, თუმცა ეს ურთიერთობები თეორიულზე უფრო პრაქტიკულ ასპექტებს მოიცავს. შესაბამისად, გადავწყვიტეთ მოგვეძიებინა თეორიული მასალა, რომელიც აღწერს ამ სახის ურთიერთობის მნიშვნელობას და მის შემადგენელ კომპონენტებს, რაც, მომავალში ამ ურთიერთობის პრაქტიკაში განხორციელებისას ერთგვარ სახელმძღვანელოდ შეიძლება იქცეს.

სწორედ ასეთი თეორიული მასალის ძიებისას გადავწყვიტეთ ქვემოთ მოცემულ სტატიას, რომელიც სასკოლო ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას სწავლის პროცესში ინფორმაციის მოძიებისას. გამომდინარე იქიდან, რომ სტატიაში გამოყენებული ტერმინების სრულად გადმოქართულება გარკვეულ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული, გადავწყვიტეთ გაგვეკეთებინა ორენოვანი ვერსია და ქართულ ტექსტში ზოგიერთი ტერმინის თარგმნისას მივუთითეთ ინგლისური დასახელება. ეს ჩვენი მხრიდან, მსგავსი ხასიათის ტექსტის თარგმნის პირველი მცდელობაა და შევეცადეთ მაქსიმალურად შესაბამისობაში ყოფილიყო ორიგინალთან და ქართული სასკოლო სინამდვილისთვის მოგვერგო ტექსტის სრული შინაარსი.

## Introduction

The National Parliamentary Library of Georgia, together with the other public institutions, is a cultural-educational institution, one of the main functions of which is to participate in educational activities. The Law on National Libraries, among other functions of the library, includes the function of the library as a center for cultural and methodical activities.

In reality, there are certain types of relationships between the National Library and school libraries, although these relationships involve more practical than theoretical aspects. Therefore, we decided to find theoretical material that describes the meaning of this type of relationship and its components, which, in the future, may become a kind of guide in the implementation process of this relationship in practice.

It is in search of such theoretical material that we came across the article below, which highlights the importance of school libraries in finding information in the learning process. Since that the full translation of the terms used in the article was connected to certain difficulties, we decided to make a bilingual version and when translating some terms in the Georgian text, we also mentioned the English term. This is our first attempt to translate this kind of text and we have tried to be as consistent as possible with the original and to adapt the full content of the text to the Georgian school reality.

წინამდებარე სტატიაში მოცემულია დასკვნები სკოლის ბიბლიოთეკების, როგორც მოსწავლეებთან დაკავშირებული სასწავლო სივრცის შესახებ. ეს ურთულესი მიზანი გულისხმობს სწავლების სოციოკულტურული და სივრცის ფენომენოლოგიურ პერსპექტივების თეორიულ საფუძვლებს. მონაცემები შეგროვდა ერთი წლის განმავლობაში შვიდ სკოლაში (8-19 წლამდე ასაკის მოსწავლეები) დაკვირვებებით, ინტერვიუებითა და კითხვარებით. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ სკოლის ბიბლიოთეკები მრავალი მნიშვნელობის მატარებელია, მათ შორის: წიგნსაცავის, დასვენებისა და განმარტოების ადგილის, მკაცრი წესრიგის, სინყნარის და მომსახურების ადგილის. სკოლის ბიბლიოთეკა ასევე შეიძლება აღვიქვათ, როგორც ძნელად გასაგები საინფორმაციო სისტემა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიბლიოთეკას აქვს პოტენციალი გახდეს სკოლის ალტერნატიული სადისკუსიო სივრცე იმ პირობით, თუ: წინა პლანზე წამოვწვეთ ბიბლიოთეკის, როგორც თავისუფალი დისკუსიისა და ინტელექტუალური საქმიანობის სივრცის ფუნქციას წიგნსაცავის ფუნქციასთან შედარებით, ასევე ვაღიარებთ, რომ ბიბლიოთეკა ინდივიდუალურზე უფრო კოლექტიურ საქმიანობათა სივრცეს წარმოადგენს.

*The aim of this article is to present findings about the meaning of the school library as a space for learning as experienced by students. This complex aim implies a theoretical framework that consists of a sociocultural perspective on learning and a phenomenological perspective of space. Data were collected through observations, interviews, and questionnaires in seven schools (8- to 19-year-old students) during one year. Among the various meanings of the school library emerging from the data analysis are a warehouse for books, a place of leisure and refuge, a place of strict order and quiet, and a service area. The school library also appears as an opaque information system. Conclusions are that the library has potential to support an alternative discursive practice in a school provided that the predominant meaning of the school library as a warehouse for books is challenged by other meanings such as a space for free discourse and intellectual activity, as well as a space for collective rather than individual action.*

## შესავალი და მიზანი

რამდენიმე კვლევით შესწავლილია თუ რა ცოდნას იძენენ მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკის დახმარებით. ადრინდელ კვლევებში აღნიშნულია, თუ როგორი რთულია განვსაზღვროთ და აღვწეროთ, რას და როგორ სწავლობენ მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკებში. სტრეტფილდმა და მარკლესმა (Streatfield and Markless, 1994) თავიანთი მოხსენების სათაურშივე აღიარეს მკვლევართათვის „უხილავი სწავლის“ პრობლემა. მათი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა არა სასკოლო ბიბლიოთეკის გამოყენების რუკის შედგენა, არამედ მისი გავლენა სწავლის პროცესზე. მათმა დასკვნებმა აჩვენა, რომ სასკოლო ბიბლიოთეკის დახმარებით სწავლის პროცესზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ინტერაქტორული ფაქტორი (რესურსები, ორგანიზაციული სტრუქტურები, პედაგოგიური იდეები) და ისეთი სუბიექტები, როგორებიც არიან მასწავლებლები, ადმინისტრატორები, ბიბლიოთეკარები და მოსწავლეები. მოკლედ ის „სასკოლო კულტურა“, რომელშიც ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა. უილიამსმა და უეველმა (Williams and Wavell, 2001) დაადგინეს, რომ სასკოლო ბიბლიოთეკის როლი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით აშკარაა ისეთ ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებთან მიმართებაში, როგორებიცაა ინიციატივების გამოჩენა, დასახული ამოცანების შესრულებისას პასუხისმგებლობის აღება, დროის დამოუკიდებლად მართვა და თავისუფლების პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება.



## Introduction and Purpose

Few studies have explored what meanings students construct through school library use, and the difficulty of identifying and describing what and how students learn through the school library has been observed in earlier research. Streatfield and Markless (1994) acknowledged the problem for researchers in the title of their report. *Invisible Learning*. Their research interest was not to map school library use, but to discern its effect on student learning. Their findings indicated that learning through the school library was influenced by a variety of interacting factors (resources, organizational structures, pedagogical ideas) and by actors such as teachers, administrators, librarians, and students, that is, the “school culture” in which the library is set. Williams and Wavell (2001) found that enhanced student learning through the school library was particularly evident in relation to life skills such as taking initiative, accepting responsibility for one’s task, being independent in the use of time, and using one’s freedom to explore topics of personal interest.

Our research project, *Learning through the school library* (LearnLib), aimed at exploring what meanings students construct through the school library and how

ჩვენი კვლევითი პროექტი *სწავლა სასკოლო ბიბლიოთეკის მეშვეობით (LearnLib)*, მიზნად ისახავდა იმ მნიშვნელობების გაგებას, რომლებსაც მოსწავლეები ქმნიან სასკოლო ბიბლიოთეკის მეშვეობით და როგორ იქმნება ეს მნიშვნელობები. სკანლონის, ისროფის, მერფის (1999) და ალექსანდერსონის (2002) მიხედვით მნიშვნელობები სასკოლო კონტექსტში იქმნება თანდათანობით, რაც გულისხმობს უწყვეტ ცვლილებებს სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას. მნიშვნელობის შექმნა სოციალურ პროცესს წარმოადგენს და შესაძლებელია გავიგოთ, როგორც ურთიერთქმედება, რომლის დროსაც მოსწავლეების ფიქრები და კომუნიკაციური ქმედებები ფორმას იძენს და მოსწავლეები კოორდინირებას უწევენ საკუთარ ქმედებებს სხვადასხვა გზით. ინტერპრეტაცია ეხება ინტერსუბიექტურობას (intersubjectivity), რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების როგორც ვერბალურ კომუნიკაციასთან, ასევე ოპერაციებთან, რომლებსაც ისინი ასრულებენ ბიბლიოთეკაში ინფორმაციის ძიებისას.

პროექტი *სწავლა სასკოლო ბიბლიოთეკის მეშვეობით* ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ იყენებენ მოსწავლეები ბიბლიოთეკასა და სხვა საინფორმაციო წყაროებს ინფორმაციის მოსაძიებლად და გამოსაყენებლად საშინაო დავალებების შესრულების პროცესში. შესაბამისად, ჩვენი კვლევითი ინტერესი ძირითადად მიმართული იყო ბიბლიოთეკის, როგორც სწავლისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალების მიმართ. ჩვენ აღვიქვამთ ინფორმაციის მოძიების და მისი გამოყენების პროცესს, როგორც გამორჩეულს, მაგრამ არა იზოლირებულს საშინაო დავალების სხვა ნაწილებისაგან, როგორებიცაა შესწავლის საგანი, პრეზენტაციის ფორ-

these meanings are constructed. According to Scanlon, Issroff, and Murphy (1999) and to Alexandersson (2002), meaning in school contexts is constructed gradually, which involves continual change while work proceeds. Construction of meaning is a social process and may be understood as an interaction in which the students' thoughts and communicative actions take shape and where the students in various ways coordinate their actions. This interpretation is about intersubjectivity, which is connected to students' actions, both their verbal communication and the operations that they perform when they search for information through the library.

The *LearnLib* project concentrated on how students use the library and other information paths and sources in order to seek and use information for their assignments. Our research interest was thus directed toward the library as a means of acquiring information for learning tasks. We view information seeking and use as a process that can be discerned, but cannot be isolated from other dimensions of an assignment such as subject matter, forms of presentation, and other frameworks for the completion of a task such as described by Kuhlthau (1993). In our study, we interpret the school library as part of such frameworks. The focus of this article is on students' construction of meaning of the *school library as a space for learning* including its various artifacts such as computers, books, pictures, and so on.

მები და დავალების შესასრულებლად საჭირო სხვა ნიუანსები, როგორც აღწერილია კულტოს (1993) მიერ. ჩვენს კვლევაში სასკოლო ბიბლიოთეკა განიხილება როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ამ სტატიის მთავარი თემაა სტუდენტთა მიერ მნიშვნელობების შექმნა სასკოლო ბიბლიოთეკაზე, როგორც სასწავლო სივრცეზე, მათ შორისაა სხვადასხვა არტეფაქტები, როგორებიცაა კომპიუტერები, წიგნები, ფოტოები და ა.შ.

### სასკოლო ბიბლიოთეკების სივრცითი თავისებურებანი

თომასიდან (Thomas, 1999) ელის (Ely, 1992) ციტირების თანახმად, ონლაინ ინფორმაციის მოძიებისა და ინტერნეტ კავშირების შედეგია ის, რომ სკოლის ბიბლიოთეკა გრძელი ოთახი კი არაა, ფუნქციანა. თუმცა ჩვენს კვლევაში ვხედავთ, რომ სასკოლო ბიბლიოთეკები ერთდროულად არის როგორც ლოკალური/ფიზიკური, ასევე გლობალური/ვირტუალური ადგილი და სხვადასხვა შესაძლო კონტენტის სწავლის სივრცე. სასკოლო ბიბლიოთეკების ადრეული მკვლევრები ერთმანეთისგან განასხვავებენ სკოლის ბიბლიოთეკის ოთახებსა და სკოლაში არსებულ სხვა ოთახებს, განსაკუთრებით საკლასო ოთახებს. ეს განსხვავებები ეხება, მაგალითად, ობიექტების განლაგებას, მეტ თავისუფალ სივრცეს, ხშირად რბილ ავეჯს, წიგნების თაროებს, რომლებსაც აქვთ მრავალფეროვანი მედია და კომპიუტერების სამუშაო ბლოკები. სკოლის ბიბლიოთეკების აღწერისთვის გამოიყენება მეტაფორები: „ბიზნესის ახალი იდეების, შეთავაზებების აღქმის ადგილი“, „პიროვნული“

## Special Characteristics of School Libraries

According to Ely (1992, cited in Thomas, 1999), a consequence of online information seeking and Internet connections is that the school library is no longer a room, but a function. However, in our study, we see school libraries simultaneously as local/physical and global/virtual places and spaces for learning of various possible content. Earlier school library research emphasizes differences between the school library room and other rooms in a school, especially classrooms. These differences concern, for example, the layout of the facilities — more free space, often soft furniture, bookshelves carrying a large variety of media, and a number of computer work-stations. Metaphors used to describe school libraries include “a business reception area,” “a space with personality,” and “a safe haven for students” (Streatfield & Markless, 1994, pp. 102-103). These met-

და „მოსწავლეთა მყუდრო ნავსაყუდელი“ (Streatfield & Markless, 1994, გვ. 102-103). დრესმენი (Dressman, 1997) ხაზს უსვამს, რომ სკოლის ბიბლიოთეკა ხასიათდება სტრუქტურით, რომელიც არ არის სკოლის არცერთ სხვა ოთახში. ეს სტრუქტურა წარმოდგენილია კლასიფიკაციის სისტემით, რომელიც გთავაზობთ სამყაროს შემეცნების განსხვავებულ ორგანიზაციას სასწავლო საგნებთან და სასკოლო წლებთან დაკავშირებული ცოდნის უპირატესად მიღების სასკოლო ორგანიზაციასთან შედარებით. უფრო მეტიც, სკოლის ბიბლიოთეკა არის საჯარო სივრცე, რომელიც სკოლაში ყველასთვის ღიაა და ამავე დროს უზრუნველყოფილია ანონიმურობა, რაც თავის მხრივ დამოუკიდებლობის პოტენციალს გთავაზობს (Dressman, 1997). რაფსტეს (2001) ეთნოგრაფიული კვლევა ორიენტირებულია ორი სკოლის უფროსკლასელთა მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობაზე. მისი დასკვნების თანახმად, სკოლის ბიბლიოთეკა ე.წ. „ფოროვანი“ ოთახია, რომელსაც აქვს პოტენციალი მნიშვნელობების გადანაცვლებისა რესურსების და წესების, ასევე იმ ცოდნისა და სწავლის ხედვის შესაბამისად, რომელიც გავრცელებულია სკოლაში.

სკანცემ (Skantze, 1989) გამოიკვლია როგორ გამოიყურება სამი სკოლის შენობაში ფიზიკური გარემო და არქიტექტურა მოსწავლეთა გადმოსახედიდან. მან აღმოაჩინა, რომ დაბალი კლასის მოსწავლეები (7-11 წლის ასაკში) ფიზიკურ გარემოს თავიანთი შეგრძნებების საშუალებით უკავშირდებიან. მაღალი კლასების მოსწავლეები (12-15 წლის ასაკში) აცნობიერებენ დეტალებსა და ფორმებს. მათ ესმით და შეუძლიათ ფიზიკური გარემო ეგზისტენციალურ კითხვებსა და ისეთ თემებს დაუკავშირონ, როგორებიცაა კომუნიკაბელურობა, სწა-

aphors suggest a space of safety, of something special, and of friendliness. Dressman (1997) underlines that the school library is characterized by a structure not present in any other school room; this structure is represented by the classification system, which offers a different organization of knowledge about the world than the predominant school organization of knowledge linked to teaching subjects and the school years. Moreover, the school library is a public space, open for everybody in a school and at the same time permitting anonymity, which in turn offers potential for independence (Dressman, 1997). Rafste's (2001) ethnographic study focused on senior high school students' use of their library in two schools. According to her findings, the school library is a "porous" room with the potential of shifting meanings dependent on resources and rules and according to the view of knowledge and learning prevalent in the school.

Skantze (1989) explored how the physical environment and architecture appear from a student perspective in three school buildings. She found that young students (ages 7-11) relate to the physical environment through their senses. Older students (ages 12-15) think consciously about the details and forms. They conceive and interpret the physical environment in relation to existential questions and to themes such as being sociable, getting through school, being independent, taking

ვლა, დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობის აღება, თავისუფლების მოპოვება და მოქმედებებსა და გარემოზე კონტროლი. სკანცემ დაადგინა, რომ სამივე სკოლაში საკლასო ოთახები ხშირად ასოცირებული იყო ერთფეროვნებასა და ავტონომიის ნაკლებობასთან, ხოლო ბიბლიოთეკები, როგორც ჩანს, წარმოქმნიდნენ შესაძლებლობას აღმოჩენის, აღფრთოვანებისა და სიმშვიდისთვის.

კვლევის დასკვნები, რომლებიც ეხება სასკოლო ბიბლიოთეკების თავისებურებებს, სხვა სასკოლო დაწესებულებებთან შედარებით, ბადებს კითხვას, თუ რა მნიშვნელობები ენიჭება მოსწავლეებისა და სასკოლო ბიბლიოთეკის ოთახის ურთიერთზემოქმედებას კონკრეტულ სასწავლო სიტუაციებში.

## დამატებითი თეორიული პერსპექტივები

სკოლის ბიბლიოთეკის სწავლისა და მოსწავლეების მიერ სკოლის ბიბლიოთეკის მნიშვნელობის გასაცნობად, გამოყენებულ იქნა ორი თეორიული პერსპექტივა. პირველი, სალჯოს (Saljo, 1999) მიერ აღწერილი სოციოკულტურული პერსპექტივა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კითხვებს მოსწავლეთა სწავლაზე, მათ საქმიანობასა და ბიბლიოთეკაში მიმდინარე სოციალურ ურთიერთობებზე. სწავლის შესახებ სოციოკულტურული თვალსაზრისით, ჩვენ განვიხილეთ მოსწავლეთა კონტაქტი არტიფაქტებსა და ხალხთან, უშუალოდ სკოლის ბიბლიოთეკის და მისი საშუალებით, მონაწილეობა სოციალიზაციის სწავლაში, რომელშიც სასკოლო ბიბლიოთეკა შეიძლება გვესმოდეს, როგორც „კულტურული



responsibility, gaining freedom, and taking control over their actions and surroundings. Skantze found that, in all three schools, classrooms were often associated with monotony and lack of autonomy, whereas libraries seemed to offer possibilities for discovery and excitement as well as peace and quiet.

The research findings referring to the special characteristics of school libraries as compared with other school facilities gave rise to the question about what meanings are constituted through the interaction between students and the school library room in specific learning situations.

### Complementary Theoretical Perspectives

To understand both learning through the school library and students' construction of meaning of the school library as a space, two theoretical perspectives were used. First, a sociocultural perspective, as described by Saljo (1999), was the basis for the questions on students' learning and on their activities and social interaction in the library. From a sociocultural perspective on learning, we considered students' contact with artifacts and people — in and through the school library — as participation in a socialization exercise where the school library can be understood as a “cul-

ინსტრუმენტი“, რომელსაც აქვს კომუნიკაციური ფუნქცია. აქტივობები, რომლებიც მიმდინარეობს სკოლის ბიბლიოთეკაში ან მისი საშუალებით, სოციალური და საკომუნიკაციო ხასიათისაა. ისინი კულტურული კონტექსტის ნაწილია და შესაძლოა განსხვავებული იყოს სხვადასხვა სკოლაში, ბევრი საერთო ნიშან-თვისებით გამოირჩეოდეს.

მეორე, ფენომენოლოგიური პერსპექტივა გამოიყენება სკოლის ბიბლიოთეკის, როგორც სივრცის ან ოთახის გასაგებად. ტერმინის – ფენომენოლოგიური გამოყენებით, ჩვენ ვგულისხმობთ ეგზისტენციალურ ტრადიციას და მივმართავთ შემეცნების მეთოდს, რომელიც ცდილობს აღწეროს ადამიანის გამოცდილების ფუნდამენტური, არსებითი თვისებები და ის სამყარო, რომელშიც გროვდება ეს გამოცდილება. ბევრმა ფილოსოფოსმა ფენომენოლოგიის სფეროში, როგორებიცაა ედმუნდ ჰუსერლი, მარტინ ჰაიდეგერი და მორის მერლოტ-პონტი, ჩაატარეს თეორიული და სისტემატური კვლევა ადამიანის ცხოვრებაში სივრცისა და ადგილის მნიშვნელობის შესახებ. ვან მანენის (van Manen, 1990) ფენომენოლოგიურ მიდგომაში ცენტრალურ ადგილს იკავებს ვარაუდი, რომლის თანახმად ადამიანებსა და სამყაროს შორის ისეთი მჭიდრო კავშირია, რომ თითოეული მათგანი ქმნის და ასახავს ერთმანეთს. ადამიანები მოქმედებენ სამყაროზე, არა ისე, როგორც სუბიექტები ობიექტზე, არამედ შეიგრძნობენ არსებას, რომელთა მოქმედება, ქცევა და გაგება ყოველთვის გათვალისწინებული და განვითარებულია სამყაროში, და რომელიც, თავის მხრივ, მხარს უბამს და ასახავს ამ ქცევას. ფენომენოლოგიური თვალსაზრისით, ადგილი და სივრცე არასოდეს არის განცალკევებული ადამიანებისგან:

tural tool” with a communicative function. The activities that take place in or through the school library are social and communicative. They are part of a cultural context and can vary from school to school, but they can also have a great deal in common.

Second, a phenomenological perspective is used to understand the school library as space or as a room. In using the term phenomenological, we refer to the existential tradition, and we refer to a way of knowing that seeks to describe the underlying, essential qualities of human experience and the world in which that experience happens. Many philosophers in the field of phenomenology, such as Edmund Husserl, Martin Heidegger, and Maurice Merleau-Ponty, have made theoretical and systematic investigations about the meaning of place and space in human life (van Manen, 1990). Central to the phenomenological approach is the assumption that people and world are intimately related such that each makes and reflects the other. People do not act on the world as subjects in relation to an object, but rather are experiencing beings whose actions, behaviors, and understandings always presuppose and unfold in a world that is, in turn, supported by and a reflection of these actions, behaviors, and understandings. From a phenomenological perspective, place and space are never disconnected from people: they are related to people’s position in the room and use of the room and

ისინი უკავშირდებიან ადამიანების მდგომარეობას ოთახში და ოთახის გამოყენებას, ასევე ადამიანების ზრახვებს. ადგილს და სივრცეს დიდი ეგზისტენცი-ალური მნიშვნელობა აქვს ადამიანებისთვის. სწო-რედ ისინი ანიჭებენ პიროვნებას ადამიანურ თვით-მყოფადობას.

არქიტექტურის კვლევაში ოტო ფრიდრიხ ბოლ-ნომ [Otto Friedrich Bollnow] (1963) შეიმუშავა „განც-დილი ოთახის“ (“the experienced room”) თეორიული საფუძველი. ბოლნოს აზრით, გამოთქმა „ადამიანი ოთახში არის“ მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი გა-გებულია, როგორც სივრცეში მოთავსებული ობიექ-ტი, ანუ როგორც ნივთია მოთავსებული კონტეინერ-ში. თუმცა ადამიანი არ არის საგანი საგანთა შორის, არამედ არის საკუთარ სამყაროსთან სხვადასხვა გზით დაკავშირებული სუბიექტი. ფენომენოლო-გიაში ხშირად არის ნახსენები განცდილი ოთახის კონცეფცია, რაც გულისხმობს, რომ ოთახი არის რო-გორც განცდილი, ისე არსებითი. განცდილი ოთახი უნდა გავიგოთ, როგორც ოთახი, რომელიც ყოველთ-ვის არსებობს ფიზიკურ სუბიექტთან მიმართებაში. ოთახში შესული ადამიანი ოთახს სხვადასხვა გზით გარდაქმნის. აქედან გამომდინარე ოთახს სხვა-დასხვა განზომილება ენიჭება. ერთი განზომილება უკავშირდება პირის ნებას, განზრახვას და მიზნებს – იგი აქტიური სხეულისთვის მიწერილ *მოქმედება-თა ოთახია*. კიდევ ერთი განზომილება ეხება იმას, თუ როგორ აღვიქვამთ ოთახს ჩვენი გრძნობებით. თქვენ შეგიძლიათ უწოდოთ *მას მხედველობითი ოთახი, სმენითი ოთახი, გემოვნებითი ოთახი ან შეხე-ბითი ოთახი*, იმისდა მიხედვით, თუ რომელ გრძნო-ბათა ორგანოებს ვიყენებთ მისი განცდისას. ოთახის სული ოთახს კიდევ ერთ განზომილებას მატებს –

also to people's intent. Place and space are of great existential significance for people. They give the person his or her identity.

In the research of architecture, Otto Friedrich Bollnow (1963) developed a theoretical foundation of "the experienced room." Bollnow means that the expression "man is in the room" indicates that a man is understood as an object — like an item in a container — in space. However, a man is not an item among other items, but a subject relating to its world in different ways. In phenomenology, the concept of the experienced room is often referred to, implying that the room is both experienced and substantial. The meaning of the experienced room should be realized as a room always being in relation to a physical subject. When a person occupies the room, it is being shaped in different ways. Consequently, the room embraces several dimensions. One dimension is linked to a person's will, intention, and aims — *a room of actions* assigned to the active body. Another dimension is linked to how we experience the room through our senses. We can call it *a visual room, a hearing room, a taste room, or a feeling room* based on the senses we use in the experience. The spirit of the room adds a further dimension — *an atmosphere room* in relation to a living person. Every room or space is affected by a special atmosphere that penetrates every part of it. The various tasks that are carried out in the

იგი ატმოსფერული ოთახიკაა ცოცხალ ადამიანთან მიმართებით. თითოეულ ოთახში ან სივრცეში განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევს, რომლითაც მისი ყოველი ნაწილია გაჟღენთილი. რეალურ ოთახში შესრულებული სხვადასხვაგვარი ქმედება გავლენას ახდენს ოთახის ატმოსფეროზე.

წარმოდგენილ კვლევაში ჩვენ განვიხილეთ საკითხი, თუ როგორ ქმნის სივრცე და დომინანტური მახასიათებლები ბიბლიოთეკაში მოსწავლეთა ქცევის წესებს, თუ როგორ შეიძლება მათში კანონიერად ჩაერთოს სწავლების მთელი პროცესი (Beach, 1995; Giddens, 1984).

### *მეთოდოლოგია, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი*

მონაცემები შეგროვდა შვედეთის ოთხი მუნიციპალიტეტის შვიდ სკოლაში 2001-2002 წლებში და განხორციელდა დაახლოებით 90 სასკოლო ვიზიტი. სკოლები მონაწილეობდნენ ორწლიან განვითარების პროექტში, რომლის მიზანი იყო სასკოლო ბიბლიოთეკების პედაგოგიური როლის გაძლიერება. სკოლების არეალი შერეული იყო სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ამასთან არც ერთ მათგანს აქ ჰქონდა დომინანტური პროფილი. შვიდი სკოლა შვედური სკოლების ერთიან სივრცეს წარმოადგენდა და მოიცავდა როგორც ქალაქის სკოლებს, ასევე სოფლის სკოლებსა და სკოლების ყველა საგანმანათლებლო დონე, დაწყებულიდან უმაღლესი საშუალო სკოლის (*senior high school*) ჩათვლით.

მონაცემები შეგროვდა 11 კლასის 260 მოსწავლისგან (8-19 წლის ასაკის). კვლევაში მონაწილე

actual room will exert an influence on the atmosphere.

In the study presented here, we were looking at how both the space and the dominant patterns in the students' use of the library form rules for how learning can legitimately emerge in them (Beach, 1995; Giddens, 1984).

### *Methodology, Data Collection, and Analysis*

Data were collected at seven schools in four municipalities in Sweden during the period 2001-2002, and roughly 90 school visits were carried out. The schools were participating in a two-year development project to strengthen the pedagogical role of their school libraries. The catchment areas of the schools were mixed as regards socioeconomic conditions with no dominant profile connected to any one of them. The seven schools were representative of Swedish schools in general and included city schools, as well as rural schools and schools on all educational levels from elementary to senior high school.

Data were collected from 260 students from 11 grades (8-year-olds to 19-year-olds). In the schools observed, students were grouped by age (7-year-olds

სკოლებში მოსწავლეები დაჯგუფდნენ ასაკის მიხედვით (7 წლიანები – 1-ელ კლასში, 8 წლიანები – მე-2 კლასში და ა.შ.). კვლევაში ასევე მონაწილეობდა 18 მასწავლებელი, შვიდი დირექტორი და ცხრა ბიბლიოთეკარი. მონაცემთა დიდი ნაწილი მოიცავს 72 სადამკვირვებლო სესიის სავსელ ჩანაწერს, მათ შორის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, დირექტორებსა და ბიბლიოთეკარებთან ინტერვიუებსა და საუბრებს. იმის გამო, რომ კვლევითი პროექტის საბოლოო მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა მნიშვნელობის მატარებელია მოსწავლეებისთვის სკოლების ბიბლიოთეკები, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მოსწავლეთა პერსპექტივაზე ეთნოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკარებთან და დირექტორებთან საუბარი გამოყენებული იქნა მოსწავლეთა სასწავლო სიტუაციების კონტექსტური გაგებისთვის. ყველა სავსელ შენიშვნა წარმოიშვა მოსწავლეების მიერ შესრულებულ დავალებებთან დაკავშირებულ კონკრეტულ სასწავლო სიტუაციიდან გამომდინარე. მკვლევრები დააკვირდნენ მოსწავლეთა სწავლის პროცესებს დაწერგვიდან დასკვნამდე, ისეთი დავალებების შესრულების პროცესებს, რომლებიც მოითხოვდა ბიბლიოთეკაში, აგრეთვე სხვა არსებში ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და გამოყენებას. ამგვარად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევა არ მოიცავდა ყველა სასკოლო ბიბლიოთეკას და მოიცავდა იმ სასკოლო ბიბლიოთეკებს, რომლებშიც სასკოლო დავალებების შესასრულებლად აუცილებელი იყო ინფორმაციის დამოუკიდებელი ძიება და გამოყენება. სასკოლო ბიბლიოთეკის სხვაგვარ გამოყენებას, როგორცაა კითხვა სიამოვნებისთვის, არ დავკვირვებივართ.



in grade 1, 8-year-olds in grade 2, etc.). Data collection also included 18 teachers, seven principals, and nine library staff. The greater part of the data collection consisted of field notes derived from 72 observation sessions, including interviews and conversations with students, teachers, principals, and library staff. Because the overall aim of the research project was to explore what meanings students construct through the school library, we focused on the students' perspective by using ethnographical methods. Conversations with teachers, librarians, and principals were used for contextual understanding of students' learning situations. All field notes were generated from concrete learning situations related to tasks carried out by students. The researchers followed students' learning processes, from introduction through conclusion, during students' work with assignments requiring independent information seeking and use in the library as well as via other channels. Thus it is important to note that our study did not include all school library use, but was restricted to school library use related to study assignments requiring independent information seeking and use by the students. Other kinds of school library use such as reading for pleasure were not observed for this study.

We also administered a questionnaire to all 260 students and received 245 responses. Questions were similar to those used in the interviews with the stu-

მსგავსი კითხვებით ჩვენ ასევე ჩავატარეთ ინტერვიუ 260 მოსწავლესთან და მივიღეთ 245 პასუხი. კითხვები ეხებოდა საკითხებს: რას ფიქრობენ მოსწავლეები მიღებული დავალებების მიზნებზე, რა უნდათ გაიგონ მოძიებულ ინფორმაციით, როგორ მოიპოვეს წყაროები, როგორ გამოიყენეს მოპოვებული წყაროები პრეზენტაციის მოსამზადებლად, დავალებების შესრულებისას როგორ თანამშრომლობდნენ სხვა მოსწავლეებთან, მასწავლებლებსა და ბიბლიოთეკარებთან და ბოლოს, რა ცოდნა შეიძინეს დავალების შესრულების შედეგად.

ამ სტატიისათვის ემპირიული მასალის ანალიზი მიმართულია სასკოლო ბიბლიოთეკის, როგორც მოსწავლეებისთვის სასწავლო სივრცის მნიშვნელობის გარკვევისკენ. ამის მისაღწევად, ყველა საველე ჩანაწერი მკაცრად იქნა გადამოწმებული, იმ მასალების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც შეესაბამებოდა მოსწავლეთა გამოცდილებას სკოლის ბიბლიოთეკის დარბაზში. მონაცემები მიღებულ იქნა ბიბლიოთეკაში მოსწავლეთა ქცევებზე მკვლევართა დაკვირვებით, მოსწავლეთა მონათხრობიდან გამომდინარე მათ მიერ ბიბლიოთეკის გამოყენების შესახებ, მკვლევრებთან უშუალო საუბრებით, ან თანაკლასელებთან, მათ მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკარებთან კომუნიკაციით. ანალიზში გამოყენებულია აგრეთვე სასკოლო ბიბლიოთეკის გამოყენების შესახებ მოსწავლეთა შევსებული კითხვარების მონაცემები. ჩვენ მიერ შესწავლილ 11 კლასს შორის, ოთხი არასოდეს წასულა ბიბლიოთეკაში დავალების შესრულებისას. ეს ნიშნავს, რომ მე-2 და მე-3 კლასების (9 წლამდე ასაკის) სკოლისა და სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები არ მოიაზრებიან ამ სტატიაში წარმოდგენილ შედეგებში.

dents. The questions concerned what students thought about the purpose of their task; what they wished to find out through information seeking; how they went about finding their sources; if and how they used the school library; how they used their sources in order to prepare presentations; how they interacted with fellow students, teacher, and librarian during their work; and finally, what they learned through the task.

For this article, analysis of the empirical material is directed toward identifying the meanings of the school library as a space for learning as experienced by the students. To achieve this, all the field notes were closely scrutinized to identify material relating to students' experiences of the school library room. The data used derive either from the researchers' observations of students' behavior in the library or from how students talked about how they used the library either in direct conversation with the researcher or through communication with fellow students, their teacher, or the librarian. Data from the questionnaires regarding questions on students' use of the school library were also used in the analysis. Among the 11 grades observed in our study, four never visited the library for purposes related to the assignments under observation. This means that students in Years 2 and 3 (younger than age 9) and students in special education classes are not included in the findings presented in this article.

## შედეგები

სკოლის ბიბლიოთეკა როგორც სივრცე, არის ადგილობრივი არენა (local arena), სფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის განვითარებას, რაც აისახება სკოლის შინაგანანესში. სასკოლო ბიბლიოთეკის შექმნა და გამოცდილება განასახიერებს ფიზიკური ოთახის ბუნებას და როგორც ოთახი, გამოიყენება სხვადასხვა მოქმედი პირების მიერ, მათი სურვილების, აზრებისა და ჩართულობის უნარის შესაბამისად. მაგალითად, როდესაც მოსწავლეები შედიან სასკოლო ბიბლიოთეკაში, რათა მიიღონ ის, რასაც ბიბლიოთეკა სპეციფიკური ფორმითა და ობიექტურად სთავაზობს, ისინი ასევე ღებულობენ იმასაც, რასაც სთავაზობს ბიბლიოთეკა ოთახის გამოცდილების თვალსაზრისით და რასაც შეიცავს და წარმოადგენს იგი სუბიექტურად. გარკვეული აზრით, მოსწავლეები ბიბლიოთეკის ოთახში ერთდროულად იმყოფებიან, თუმცა სხვადასხვა კონკრეტულ მოვლენათა წყალობით, თითოეული მოსწავლე ოთახის ცნობიერებას ან ოთახთან ურთიერთობას ინდივიდუალურად აღიქვამს.

შვიდ სასკოლო ბიბლიოთეკაში შევამჩნიეთ თანაგრძნობა და ჩართულობა (empathy and engagement), პროფესიონალიზმი და ინფორმაციის მოძიება, კომუნიკაცია და ურთიერთქმედება. ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ მექანიკური და პასიური მოქმედებები და სხვადასხვა მოქმედ პირს შორის თანამშრომლობის ფაქტობრივი არარსებობა. სასკოლო ბიბლიოთეკის ორგანიზაციამ შეზღუდა მასში სოციალური ცხოვრება. ჩვენი კვლევის შედეგებით აშკარა გახდა, რომ აბონენტთა მომსახურების მაგიდა ქმნიდა

## Findings

The school library as a space is a local arena, a sphere supporting the development of student knowledge, which is reflected in the legislative rules of school. The creation and experience of the school library is embodied by the character of the physical room and by the use of the room according to the ability of the different actors, their desires, thoughts, and engagement. When, for example, students enter the school library to participate in what the library offers in a concrete way and in an objective sense, they also take part in what the library offers from the point of view of their experience of the room and what it contains and presents in a subjective way. In one sense, the students are present all at the same time in the library room, but, through a variety of concrete experiences, each student is developing an individual relation to the room, a sort of room consciousness or room relationship.

In the seven school libraries, we observed empathy and engagement, professionalism and information seeking, communication and interaction. However, we also found mechanical and passive action and a great lack of collective cooperation between the various actors. The organization of the school library limited social life within it. In our study, it became obvious

საზღვარს მოსწავლეთა სივრცესა და ბიბლიოთეკარის კუთვნილ სივრცეს შორის. ეს სივრცე ასევე გამორიცხავდა მასწავლებლებს, რის სანაცვლოდ, მასწავლებლები ბიბლიოთეკის დარჩენილ სივრცეს მოსწავლეებთან იზიარებდნენ. წიგნების კარადების განლაგება სხვადასხვაგვარად ნიღბავდა სივრცის რეალურ დაგეგმარებას, ხოლო თაროებს შორის გასასვლელებმა დიდი ოთახი რამდენიმე პატარა ოთახად დაყო. სამკითხველო კამერებმა და „ვინრო ბილიკებმა“ ასევე შექმნა „ოთახი ოთახში“. მოსწავლეები ადრეულ ასაკშივე შეთანხმდნენ თუ როგორ გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული სივრცე და ამიტომ, იშვიათად წარმოიშობოდა კონფლიქტები ამ სივრცის გამოყენებისას.

ჩვენი კვლევით დადასტურებული სასკოლო ბიბლიოთეკების სხვადასხვაგვარი გამოყენების შესაძლებლობა შეიძლება განვიხილოთ სასკოლო ბიბლიოთეკის, როგორც მთლიანის სხვადასხვა განზომილება.

### *წიგნებისა და ფაქტების საცავი*

ბიბლიოთეკის ყველაზე თვალსაჩინო დანიშნულება წიგნსაცავის ფუნქცია იყო, ანუ ბიბლიოთეკის მთავარი დანიშნულება პროექტებზე სამუშაოდ მატერიალური რესურსების, უპირველეს ყოვლისა, წიგნების მიწოდებაა. მე-5-მე-12 კლასის მოსწავლეები (11-18 წლის) წიგნების მოძიებისა და შემონახვის მიზნით თავად დადიან ბიბლიოთეკაში. ეს გულისხმობს, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, ბიბლიოთეკა ფიზიკური სივრცეა. უმცროს კლასებში (მე-2-მე-4 კლასში ანუ 8-10 წლის ბავშვებში) „კვლევითი პროექტებისთვის“ ანდა სპეციალუ-

that the circulation desk formed a border between the students' space and the space belonging to the librarian. This space also excluded the teachers. Instead, the teachers shared the rest of the library space with the students. The arrangement of the bookshelves screened the floor space in several ways, and the passages between the shelves created small rooms within the larger room. The reading corner — and the “footpath” to it — also created a room within the room. The students learned early on to agree on how to make use of the floor space at their disposal, and conflicts seldom arose about the use of the space.

Various meanings of the school library emerged from our data. These may be seen as various dimensions of the meaning of the school library as a whole.

### *Warehouse for Books and Facts*

The most obvious meaning of the library was as a warehouse for books, that is, the meaning of the library is to provide physical material for project work, mainly books. Higher-grade students — Years 5 to 12 (11-18-year-olds) — visit the library themselves to search, retrieve, and check out books. This implies that for students at the secondary level, the library as a physical space is obvious. For “research” assignments in the lower grades. Years 2

რი საგანმანათლებლო კლასების ჯგუფებში მასწავლებლებს ხშირად თავად გაჰქონდათ მასალები, ძირითადად წიგნები, რომლებსაც შემდგომ საკლასო ოთახში იყენებდნენ. რაც ნიშნავს, რომ სკოლის ბიბლიოთეკა, როგორც ფიზიკური სივრცე საკლასო დავალებების შესასრულებლად უმცროსკლასელთათვის, ნაკლებად განიხილება.

სამუშაო ადგილი – ბიბლიოთეკის, როგორც ფიზიკური სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელობაა. განსაკუთრებით ერთ-ერთ სკოლაში, რომელშიც ორი კლასის მოსწავლეები (15 წლის ასაკის) სასკოლო დავალებებს ოთხი თვის განმავლობაში ასრულებდნენ. მოსწავლეთა უმრავლესობა სამუშაო დროის დიდ ნაწილს სწორედ ბიბლიოთეკაში ატარებდა და კითხვარში მიუთითებდა, რომ ბიბლიოთეკამ დიდი წვლილი შეიტანა დავალების შესრულების პროცესში.

ბიბლიოთეკის მონახულების მიზეზი ხშირად წიგნის ძებნა, სახლში წაღება ან რომელიმე ბეჭდური წყაროს დათვალიერება იყო. სასკოლო ოთახში მყოფმა მოსწავლემ, რომელიც ინტერნეტით სარგებლობდა, თქვა: „იქნებ წიგნიც უნდა გვქონდეს. მოდით, ბიბლიოთეკაში წავიდეთ“ (პიტერი, 18 წლის). 8 წლის გოგონა, რომელმაც ორი წიგნითა და რამდენიმე ბეჭდური გამოცემით ინტერნეტიდან ისარგებლა, განაცხადა: „ამჯერად ჩვენ უნდა გვესარგებლა ბიბლიოთეკით. ჩვეულებრივ, მე ინტერნეტით ვსარგებლობდი“ (ემა, 15 წელი), რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული ორი წიგნით სარგებლობა ბიბლიოთეკაში ვიზიტის შედეგი იყო.

მოსწავლეებისთვის ასევე ცნობილია, თუ როგორ ისარგებლონ ბიბლიოთეკით ფაქტების ძიებისას. მოსწავლეები და მათი მასწავლებლები ჩვეულებრივ იყენებდნენ ტერმინს „ფაქტები“, თითქოს



to 4 (8-10-year-olds) or in special education classes, the teachers would often check out the media, mainly books, which were then used in the classroom. This means that the school library as a physical space related to learning tasks may be less evident for younger students. It is replaced by physical books provided by the teacher to be used for learning in the classroom.

One meaning of the library as a physical space is that of a workplace. Especially in one school where two classes (15-year-olds) worked on an assignment for four months, most students spent most of their working time in the library and stated in the questionnaire that the library contributed much to their learning for this task.

The aim of searching for or borrowing a book or browsing any print source was often the motive for students to visit the library. A student who had been searching the Web in the classroom said, “Maybe we should have a book too. Let’s go to the library” (Peter, 18 years). A girl in Year 8 who used two books and some printouts from the Web explained, “This time we had to visit the library. Normally I would search the Net” (Emma, 15 years). This

implies that her two books were the outcome of an imposed visit to the library.

The students had an understanding of library use as finding facts. They and their teachers would normally use the term facts, hardly ever information or literature

ის, რასაც ეძებენ შეიძლება ჩანაცვლდეს ინფორმაციით ან ლიტერატურით ან ნებისმიერი სხვა სიტყვით. ქვემოთ მოცემულია ინტერვიუ საშუალო სკოლის მოსწავლესთან. კითხვები ეხებოდა ინფორმაციის მოძიების პროცესს და მასში ასახულია ფაქტებზე აქცენტი.

ენი: ვეძებ ფაქტებს [ტიტანიკზე].

ინტერვიუერი: რა ფაქტებს?

ენი: როდის აშენდა, ვინ ააშენა და რა შეიძლება მომხდარიყო, თუ დროულად შეამჩნევდნენ.

ინტერვიუერი: რას?

ენი: აისბერგს. (ენი, 15 წლის)

შემდეგი კითხვარი გვიჩვენებს ფაქტების გამოყენებას სხვა გაგებით:

„დავინყე ქსელში ძებნა, ვიპოვე ბევრი მონაცემი, დაათვალიერე... (მიუთითებს 50-გვერდიან მასალაზე). შემდეგ კი ბიბლიოთეკარს ვკითხე. ვფიქრობ, ეს ყველაფერი კარგია, ჯერ არ მაქვს წაკითხული, ახლა მივდივარ... ყოველ შემთხვევაში, ახლა საკმარისი ფაქტები მაქვს... ჯერ წიგნებს გადავხედავ“ (ოლოფი, 15 წლის).

ჩვენ ტერმინის ეს ინტერპრეტაცია შეგვიძლია გავიგოთ მინიმუმ ორნაირად: (ა) ფაქტები შეიძლება გულისხმობდეს ინფორმაციის ცალკეულ ნაწილებს, კითხვებზე სწორ პასუხებს; (ბ) ფაქტები შეიძლება გულისხმობდეს ინფორმაციის შინაარსს უფრო ფართო გაგებით, რომელიც მჭიდრო კავშირშია შინაარსის ცოდნასთან ან დავალების თემატიკასთან. ამასთან, ინფორმაციის გააზრება, როგორც ფაქტობრივი ინფორმაციის პოვნისა ან მზა პასუხების,

or any other word. The following is the answer to an interview question put to a junior high school student about her information search process and illustrates the focus on facts:

Anne: I am searching for facts [on Titanic]. Interviewer: What facts?

Anne: Well, when it was built, who built it and what might have happened if they had noticed in time.

Interviewer: Noticed what?

Anne: If they had seen the iceberg earlier. (Anne, 15 years) The next illustrates the use of facts in a different sense:

I started by searching on the Net, I found loads, look ... (points to some 50 pages of printouts), then I asked the librarian. I think this is all right, I haven't read it yet, I am going to now ... Anyway, I have enough facts now... I'm going to look through the books a bit first. (Olof, 15 years)

We interpret this use of the term in at least two ways: (a) facts may mean discrete pieces of information, right answers to questions; (b) facts may also mean the content of information in a wider sense, closely related to the content knowledge or the subject matter of an assignment topic. However, an understanding of information seeking as finding factual information or ready

შეიძლება ზიანის მომტანი იყოს, როგორც ზოგიერთი შინაარსის უფრო ღრმა გაგებისთვის. ლიმბერგმა (1999) დაადგინა, რომ უფროსკლასელთა მიერ ინფორმაციის მოძიების ფაქტის გაგება გავლენას ახდენს სწავლის ცუდ შედეგებზე, რომ ინფორმაციის მოძიება, როგორც ფაქტის დადგენა, შეუსაბამოა რთული სასწავლო დავალებისთვის. Learn-Lib პროექტის შედეგების შესახებ წინა სტატიაში (Alexandersson & Limberg, 2002), ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ინფორმაციის მოძიება, როგორც ფაქტების მოძიება, უკავშირდება ინფორმაციის გამოყენებას, როგორც „ტექსტის გადაცემას და ტრანსფორმაციას“ (“transport and transformation of the text”) და რომ ეს შეხედულება იშვიათად არის ეჭვქვეშ დაყენებული. მასწავლებლების ან ბიბლიოთეკარების მიერ. ამის თეორიული ახსნა არის ის, რომ სკოლის დისკურსული პრაქტიკის თანახმად, სწავლა ხდება ტექსტის კოპირებისა და დამახსოვრების გზით.

### *გაუმჭვირვალე (opaque) საინფორმაციო სისტემა*

ჩვენი სავსე ჩანაწერებიდან ჩანს, რომ სტუდენტების უმეტესობას ბიბლიოთეკის ინფორმაციულ სისტემებზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, როგორც თაროებზე წიგნების განლაგების, ასევე კატალოგიზაციის კუთხით. როდესაც მკვლევარმა სტუდენტებს ჰკითხა, თუ როგორ შეძლებდნენ ისინი კონკრეტული ნივთის პოვნას, მათ იშვიათად ჰქონდათ ადეკვატური პასუხი. სავსე ჩანაწერების თანახმად, უფრო ხშირად სტუდენტები წიგნის

answers may be detrimental to a view of learning as deeper understanding of some content. Limberg (1999) found that senior high school students' understanding of information seeking as fact-finding interacted with a poor learning outcome on the subject matter. The conclusion was that an understanding of information seeking as fact-finding was inappropriate for a complex learning assignment. In an earlier article on outcomes from the LearnLib project (Alexandersson & Limberg, 2002), we noted that the understanding of information seeking as fact-finding was connected to information use as "transport and transformation of text" and that this view was rarely challenged by teachers or librarians. A theoretical explanation of this is that according to the school's discursive practice, learning takes place through copying and memorizing text.

### *Opaque Information System*

It is evident from our field notes that most students had blurred understandings of the information systems of the library, both as regards systems for shelving and systems for cataloguing or classification. When the researcher asked students how they would go about finding a specific item, they were rarely able to give an adequate explanation. The field notes show that more often than not students asked the librarian for help in

ან სტატიის პოვნაში დახმარებას ბიბლიოთეკარს სთხოვდნენ. ამის მიუხედავად, კითხვარები მიუთითებს, რომ სტუდენტების უმეტესობისთვის მასალების მოძიება ბიბლიოთეკაში მარტივია. ეს შეიძლება გულისხმობდეს, რომ ბიბლიოთეკის ერთი მნიშვნელობაა გაუმჭვირვალე ან ბუნდოვანი ინფორმაციული სისტემა, სადაც საჭიროა დახმარება კონკრეტული დოკუმენტის მოსაძიებლად. ალტერნატიული გაგების მიხედვით კი ბიბლიოთეკა არის ადგილი, სადაც ინფორმაციის მოძიება მარტივია. ამ უკანასკნელმა მოსაზრებამ შეიძლება გამოიწვიოს იმედგაცრუება შესაბამისი ინფორმაციის ძიების დროს ნარუმატებლობის შემთხვევაში.

საბიბლიოთეკო სისტემების შესახებ მოსწავლეთა შეზღუდული ცოდნა ასევე თვალშისაცემია ინტერნეტზე დაფუძნებული ინფორმაციული სისტემების შემთხვევაშიც. მაშინაც კი, თუ საქმე ეხება პედაგოგებისა და ბიბლიოთეკარების რეკომენდირებულ სხვადასხვა საინფორმაციო ექსპერტების მიერ ორგანიზებულ ვებ-კატალოგებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მოსწავლე ისარგებლებს ისეთი ელექტრონული ბიბლიოთეკებით, როგორცაა ბმულების ბიბლიოთეკა. ბმულების ბიბლიოთეკა შვედეთის სასკოლო ქსელის ნაწილია, რომელიც შეიქმნა შვედეთის განათლების ეროვნული სააგენტოს მიერ; იგი განკუთვნილია 10-15 წლის ასაკის მოსწავლეებისთვის და მოიცავს გარანტირებული ხარისხის 3700-ზე მეტ საგანმანათლებლო ბმულს [<http://www.skolverket.se/skolnet/english/index.html>]. მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცის განსხვავება დომენზე დაფუძნებულ ვებ-კატალოგებსა და თემატურად ორგანიზებულ ვებ-კატალოგს (მაგ. Yahoo) შორის. როგორც ჩანს, ისინი უპირატესობას ანიჭებ-

finding a book or an article. In spite of this, the questionnaires indicated that most students found it easy to retrieve material in the library. This may imply that one meaning of the library would be that of an opaque or incomprehensible information system where you need assistance in accessing a document. An alternative understanding would be that the library is a place where it is easy to find information. This latter view may lead to frustration or disappointment if or when searchers fail to retrieve relevant information.

Students' limited understanding of library systems also applies to Web-based information systems. Even if teachers and librarians recommended the use of Web catalogues organized by various information professionals, hardly any student would use electronic libraries such as the Link Library. The Link Library is part of the Swedish School Net set up by the Swedish National Agency for Education; it is targeted for school children 10-15 years old and includes over 3,700 quality-assured educational links [<http://www.skolverket.se/skolnet/english/index.html>]. Most students did not know the difference between a Web catalogue organized by subject area (e.g., Yahoo) and a search engine. They seemed to prefer to use search engines such as Altavista or Google and often used them primitively, without appearing to know about basic tools or operators for narrowing, specifying, or broadening their searches.

